გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 63243044**
თარიღი:**30/10/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“-ს შორის 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის ,,ბ“–ქვეპუნქტისა და 24–ე მუხლის მე–2 ნაწილის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით შეწყვიტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს შორის, 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების, ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ა–ში მდებარე, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

მუხლი 2.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი